28
ნოემბერი

ოთხშაბათი,
1962 წ.
№ 234 (2083)
გამოდის [illegible] წლიდან
ფასი [illegible] კაპ.

დიდი ანგარიშით



მოსკოვი. (ჩვენი სპეც. კორესპ.). ჩვენი ქვეყნის უძლიერეს წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე დღეს მაყურებელთა დიდ ინტერესს იწვევდა მოსკოვის „დინამოსა“ და ვმფ-ის გუნდების შეხვედრა. ამ კოლექტივების პირველი წრის შეხვედრა, როგორც ცნობილია, მოიგეს დინამოელებმა მინიმალური ანგარიშით — 1:0. თამაში ძალზე მაღალ ტემპში, ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყო. ანგარიში პირველსავე წუთზე გაიხსნა, როცა დინამოელებმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს მეტოქის კართან და გრიშინმა ძლიერი ტყორცნით ბურთი ვმფ-ის კარში გაგზავნა.

ამის შემდეგ ბრძოლა სპორტულად უფრო დაძაბულად წარიმართა. ორივე მხარემ აჩვენა კარგი, გააზრებული თამაში. მატჩი მოიგეს დინამოელებმა კვლავ მინიმალური განსხვავებით — 5:4.

როცა სათამაშოდ თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „შრომითი რეზერვების“ გუნდები გამოვიდნენ, არავის ეპარებოდა ეჭვი თბილისელთა იოლ გამარჯვებაში, ყველას აინტერესებდა, თუ როგორი ანგარიშით გაიმარჯვებდნენ საქართველოს წარგზავნილები. თამაში დინამოელთა იერიშით დაიწყო და სულ მალე ჩიქვანაიამ წილაურის მიწოდებიდან გახსნა ანგარიში. მეორე პერიოდში მიმინოშვილმა ანგარიში 2-მდე გაზარდა, რასაც მოჰყვა როდინის მიერ საკუთარ კარში გატანილი ბურთი — 3:0.

ამის შემდეგ მოსკოველები ყრუ დაცვაზე გადავიდნენ, ამით ისინი ცდილობდნენ რაც შეიძლება ნაკლები ბურთი გაეშვათ. მაგრამ ვერც ამ ტაქტიკამ უშველა მათ. დარჩენილ დროში ჯერ ჩხიკვაძემ 2-ჯერ შეძლო მოსკოველთა კარის აღება, ხოლო დაბოლოს, მეგედის დარტყმა ძელს მოხვდა და იქიდან არეკნილ ბურთს მოუსწრო რომანოვმა და იგი კარში გაგზავნა. „შრომითი რეზერვების“ გუნდმა მხოლოდ ერთი საპასუხო ბურთის გატანა შეძლო და მატჩი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 6:1.

დანარჩენი შეხვედრებიდან აღსანიშნავია მოსკოვის უნივერსიტეტისა და ლენინგრადის „სპარტაკის“ თამაში. შეხვედრის უკანასკნელ წუთამდე ერთი ბურთის განსხვავებით წინ იყვნენ ლენინგრადელები, მაგრამ სტუდენტებმა შეძლეს დამარცხებისაგან თავის დაღწევა — 2:2. ლვოვის „დინამომ“ დაამარცხა ლენინგრადის „ბალტიკა“—2:1.

სურათზე: ვმფ-ისა და თბილისის „დინამოს“ გუნდების შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი. მეტოქის კარს უტევს გ. ჩიქვანაია.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 27 ნოემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ მ.	9	9	0	0	27—10	18
„დინამო“ თბ.	9	7	1	1	25—5	15
სახ. უნივერ. მ.	9	4	3	2	17—12	11
ვმფ	9	4	2	3	22—14	10
„სპარტ“. ლ.	9	2	4	3	15—21	8
„დინამო“ ლვ.	9	2	1	6	14—23	5
„ბალტიკა“ ლ.	9	1	1	7	11—25	3
„შრ. რეზ“. მ.	9	0	2	7	13—34	2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

მ. ბოგუსის „განაცხადი“

მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში ჯერ კიდევ 21 ნოემბერს დაიწყო საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური პირველობა ტანვარჯიშში. მაგრამ პირველ დღეებში შეჯიბრებაში ჩაებნენ მხოლოდ პირველთანრიგოსანი სპორტსმენები და მეორე ჯგუფის გუნდები, რომლებსაც არ შეუძლიათ პრეტენზია განაცხადონ უმაღლეს ტიტულზე. ამ უკანასკნელთა შორის არიან ჩვენი რესპუბლიკის სპორტული საზოგადოების — „განთიადის“ ტანმოვარჯიშეებიც. „განთიადის“ ქალთა გუნდი, სამწუხაროდ, სუსტად გამოვიდა და აუტსაიდერთა რიგებში მოექცა. სამაგიეროდ, კარგად გამოვიდნენ „განთიადის“ ვაჟი ტანმოვარჯიშეები, რომლებიც, სპეციალისტთა აღიარებით, საუკეთესონი იყვნენ თავიანთ ცვლაში. ამ გუნდის წარმომადგენლებმა — ბ. აბრამიშვილმა და ე. გუშჩიანმა რგოლებზე შესაბამისად მიიღეს 9,2 და 9,3 ქულა, რაც ცვლის ერთ-ერთ საუკეთესო შეფასებად დარჩა.

საინტერესო ბრძოლები დაიწყო მას შემდეგ, რაც ასპარეზზე გამოვიდნენ ოსტატები. აქაც გუნდები და სპორტსმენები გამოდიოდნენ ცვლების მიხედვით. პირველი დღის შედეგებით ვაჟთა შორის სამი იარაღის გავლის შემდეგ ლიდერობდა ბელორუსელი არმიელი ნ. მილიგულო — 28 ქულა. მეორე ადგილზე 27,1 ქულით იყო ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი რ. კაჭახიძე. ქალთა შორის დაწინაურდა ლენინგრადელი ლ. შემაევა.

ლიდერთა განლაგება ძირეულად შეიცვალა 26 ნოემბერს, მას შემდეგ, რაც ბრძოლაში ჩაებნენ ჩვენი ქვეყნის წამყვანი ტანმოვარჯიშეები და გუნდები. სამი იარაღის გავლის შემდეგ ვაჟთა შორის შეჯიბრებას სათავეში ჩაუდგა ბ. შახლინი — 28,55 ქულა, ხოლო მეორე ადგილზე ვ. კერდემელიდი მიდიოდა — 28,4 ქულა. ბრწყინვალედ გამოვიდა საქართველოს „დინამოს“ წარმომადგენელი მ. ბოგუსი, რომელმაც ძლიერ მეტოქეებთან ბრძოლაში შეძლო ლიდერთა ჯგუფში დაწინაურება და 28,3 ქულით ჯერჯერობით ინარჩუნებს მესამე ადგილს.

მეტად დაძაბული იყო ქალთა შეჯიბრება სავალდებულო პროგრამის პირველ ორ ვარჯიშში. აქ ბოლო მომენტამდე ლიდერობდა ს. მურატოვა, რომელსაც ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ ლ. ლატინინა და პ. ასტახოვა. უკანასკნელ ვარჯიშში — ბჯენით ხტომაში დღის საუკეთესო შეფასება — 9,8 ქულა მიიღო მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლ. ლატინინამ, რამაც მას საშუალება მისცა გადაესწრო ლიდერისათვის და პირველ ადგილზე გასულიყო. მეორე-მესამე ადგილებზე ერთნაირი მაჩვენებლებით მიდიან ს. მურატოვა და პ. ასტახოვა.

მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატი ტარდება თავისებური სტრუქტურით. მას შემდეგ, რაც დასრულდება გუნდური შეჯიბრება და სპორტსმენებიც დაამთავრებენ სავალდებულო და ნებისმიერი ვარჯიშების შესრულებას, 14 უძლიერესი როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის კვლავ განაგრძობს ე. წ. ფინალურ ბრძოლებს უძლიერესის წოდების მოპოვებისათვის.

ოლიმპიადის საზეიმო გახსნა — 29 იანვარს

ინსბრუკის ზამთრის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა ჯერ კიდევ გასულ წელს ოფიციალურად დაამტკიცა თამაშების პროგრამა. მაგრამ საორგანიზაციო კომიტეტმა მხედველობაში მიიღო რა პრესის, რადიოსა და ტელეხედვის მუშაკთა წინადადებები, რამდენადმე შეცვალა პროგრამა. თეთრი ოლიმპიადის საზეიმო გახსნა დანიშნულია 1964 წლის 29 იანვარს არა ტივოლის სტადიონზე, როგორც ეს წინათ იყო გამოცხადებული, არამედ ყინულის სტადიონზე.

თამაშების სპეციალური რეფერენტის ბ. ნეიმანის ხელმძღვანელობით მთავრდება პრეს-ცენტრის მოწყობა. მისი ადგილსამყოფელი იქნება ინსბრუკის ტექნიკური ინსტიტუტის კომფორტაბელური შენობა. ჟურნალისტების განკარგულებაში იქნება მრავალი ტელეფონი, ტელეტაიპები სატელევიზიო გადასაცემი აპარატებით. თუ რა კეთდება ინსბრუკში ოლიმპიური თამაშების ორგანიზებულად ჩატარებისათვის, აღწერს მეორე წინასაოლიმპიადო კინოფილმი, რომელიც გადაიღო ტეო გერმანის ფირმამ. ფილმის ფინანსირება იკისრა „კოკა კოლას“ ფირმამ, რომელთათვისაც ეს ნაბიჯი კარგი რეკლამა იქნება.

თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ცნობით ინსბრუკის ნაგებობათა პირველ გამოცდას მოაწყობს ავსტრიის ეროვნული ნაკრები მიმდინარე წლის დეკემბერში.

გადაიდო ერთი პარტია

საბჭოთა კავშირის XXX საჭადრაკო ჩემპიონატის IV ტურში დამთავრდა თითქმის ყველა პარტია. მძაფრი ბრძოლის შემდეგ გადაიდო მხოლოდ შტეინ-ტალის შეხვედრა. შეწყვეტილ პოზიციაში უპირატესობა ლეოველი გროსმაისტერის მხარესაა.

ყველაზე ადრე დამთავრდა კორჩნოი-შიანოვსკის შეხვედრა. მოწინააღმდეგეებმა მალე განმუხტეს პოზიცია და ყაიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგებით დასრულდა ნოვოპაშინ-კროგიუსის პარტიაც.

კარგად ითამაშა ტაიმანოვმა კორელოვთან. გროსმაისტერმა თავიდანვე ხელთ იგდო ინიციატივა და გაიმარჯვა. ვლადივოსტოკელმა ზაიცევმა დაამარცხა მოსკოველი ზაიცევი. სავონმა წააგო კოცთან.

ცუდი სტარტის შემდეგ სპასკიმ ძლიერად ჩაატარა შეხვედრა მნაცაკანიანთან და გაიმარჯვა. შეუპოვარი ბრძოლა გაიმართა მიკენას-ბანიკის პარტიაში. ბოლოს უპირატესობას დაეუფლა კიეველი ოსტატი. გონებამახვილი წინააღმდეგობის მიუხედავად, მიკენასი მაინც დამარცხდა. პირველი პარტია წააგო არონინმა, რომელიც ამ დღეს ხოლმოვს ეთამაშებოდა. სუეტინმა გაიმარჯვა ახალგაზრდა როსტოველ ოსტატ ხოდოსთან.

ამრიგად, IV ტურის შემდეგ ერთპიროვნულად ლიდერობს მ. ტაიმანოვი, რომელსაც 3,5 ქულა აქვს.

* * *

სურათზე: გროსმაისტერი ვ. კორჩნოი ფიქრობს მორიგ სვლაზე. მის პოზიციას ეცნობა გროსმაისტერი მ. ტალი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ბ. შახლინი ტაიჭზე ვარჯიშის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალტუბოს რაიონში ერთი მოწინავეთაგანია გეგუთის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივი.

მარჯვენა სურათზე აღბეჭდილია მეურნეობის ფიზსაბჭოს მორიგი სხდომა, როცა მეურნეობის დირექტორი შ. გურესაშვილი (შუაში) შეკრებილთ აცნობს „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარის შ. კინწურაშვილის (მარცხნიდან მეორე) მიერ მოტანილ რაიონულ ღონისძიებათა დებულებებს.

მარცხენა სურათი მოგვითხრობს თავისუფალი ჭიდაობის სექციის მორიგ მეცადინეობაზე. წვრთნას ატარებს ავტომძღოლი, რაიონის ჩემპიონი ა. მუშკუდიანი (სურათზე მარცხნივ).

ისევ სპორტული ტერმინოლოგიის შესახებ

გ. მერკვილაძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის სხვადასხვა სახეობების ფართო მასებში შეჭრა, რესპუბლიკური პერიოდული ჟურნალ-გაზეთების მიერ სპორტული ცხოვრების ყოველდღიური გაშუქება, მშობლიურ ენაზე მსაჯობის, რადიოგადაცემების, რეპორტაჟის წარმოება შეუძლებელი შეიქმნებოდა ქართული ერთიანი სპორტული ტერმინოლოგიის დადგენის გარეშე.

ამჟამად უკვე შექმნილია სპორტის თითქმის ყველა სახეობაში ტერმინოლოგიის ძირითადი სიტყვიერი ფონდი, რომელიც თავისი სისტემით, ლოგიკურობითა და ხალხურობით დიდი სამეცნიერო შრომის დონეზე დგას. იგი იქმნებოდა სპორტის ენთუზიასტების მიერ ამ 42 წლის მანძილზე მუდმივი ძიების, კოლექტიური მსჯელობის, პრაქტიკაში შემოწმების, ჩვენი ქვეყნის დიდი ენათმეცნიერებისა და მათი მოწაფეების დახმარების შედეგად.

ქართული ტერმინოლოგიისათვის ბრძოლის ეტაპების, მისი დახვეწის ისტორია თავისთავად საინტერესო ფურცელს შეადგენს ჩვენი სპორტის კულტურის შესწავლისათვის, მაგრამ ჯერ ეს მეორე რიგის საკითხს წარმოადგენს.

ამჯერად სპორტული ტერმინოლოგიის განვითარების დარგში მორიგი ამოცანაა შექმნილი ტერმინოლოგიის დახვეწა, რედაქცია და ახალ მოთხოვნებთან დაკავშირებით ახალი ტერმინების შექმნა. რომელიმე დარგის სპეციალური ტერმინოლოგიის შექმნის დროს საჭიროა იგი დაუმორჩილდეს რაიმე სისტემას. ასეთი სისტემა არსებობდა. საჭიროა ტერმინოლოგიური სისტემის აღდგენა, რომ ყოველი ახალი ტერმინი ერთიანი წესით იქნეს შექმნილი.

საქართველოში უხსოვარი დროიდან, სპორტის გავრცელების საკმაო მასშტაბის გამო, სპორტული ტერმინების ძირითადი ფუძეები ქართულ ენაში დიდი რაოდენობით არის შემონახული; ზოგი ტერმინი ლიტერატურაში, ზოგი სხვადასხვა დიალექტებში და ზოგიც ზეპირსიტყვაობაში არის გაფანტული, რასაც მოგროვება და დალაგება სჭირდებოდა.

დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე სწავლა, სამეცნიერო მუშაობა, მართვა-გამგეობა, ვაჭრობა, ანგარიშგება და ოფიციალური მიმოწერა რუსულ ენაზე წარმოებდა, რის გამოც სპეციალური ლიტერატურის, გაზეთის ან ჟურნალის წარმოშობამდე, ქართული ტერმინის საზოგადოებრივი მოთხოვნილება გამორიცხული იყო. არ იყო აგრეთვე სპორტული ტერმინოლოგიის შექმნის მოთხოვნილებაც, რადგან სპორტის ერთადერთი სახეობა — ტანვარჯიში — უმთავრესად გიმნაზიებში ისწავლებოდა, სადაც სწავლება რუსულ ენაზე წარმოებდა. ქართულად სპორტული ტერმინის გამოყენების საჭიროება მხოლოდ რევოლუციის შემდეგ ვიგრძენით.

1918 წლის 6 მარტს ქართველ ტანმოვარჯიშეთა და ფილარმონიული სკოლის ერთობლივად მოწყობილ საღამოსათვის ქართულ ენაზე გამოშვებული აფიშა მეტყველებს იმდროინდელი სპორტული ტერმინოლოგიური უსუსურობის შესახებ. აი როგორი ტერმინები იყო მაშინ გამოყენებული აფიშაში: „მესამე განყოფილებად „გიმნასტიკური საღამო ამირანისა" შემდეგი პროგრამით:

1. ვაჟთა ჯგუფის თავისუფალი მოძრაობა (ორი ფიგურა);

2. ქალთა ჯგუფის თავისუფალი მოძრაობა (ორი შეერთებული ერთად ფიგურა);

3. ვაჟთა ვარჯიშობა პარალელურ ბრუსებზე;

4. ქალთა ვარჯიშობა ტურნიკზე;

5. ქალთა ვარჯიშობა გიმნასტიკურ ცხენზე;

6. საერთო გიმნასტიკური სურათი".

სპორტული ტერმინოლოგიებიდან პირველად ტანვარჯიშული ჩამოყალიბდა, რასაც საფუძველი გიორგი ნიკოლაძემ ჩაუყარა. ტანვარჯიშის ახალი ფორმების განვითარებასთან და მეზობელი მეცნიერებების (მედიცინის, პედაგოგიკის, სამხედრო მეცნიერების და სხვა) ქართული ტერმინოლოგიების შექმნასთან დაკავშირებით ტანვარჯიშულმა ტერმინოლოგიამაც განიცადა ევოლუცია, მაგრამ სპორტის მთელი რიგი ახალი სახეობების შემოღებამ ჩვენს რესპუბლიკაში ერთგვარი „ტერმინოლოგიური შიმშილი" წარმოშვა, რის გამოც ამ 42 წლის განმავლობაში სამჯერ მაინც მოგვიხდა ქართული ტერმინოლოგიის განხილვა სპორტის ყველა მოქმედ სახეობაში და სახელმწიფო ტერმინოლოგიურ კომიტეტში დამტკიცება.

1925 წელს საჭირო შეიქნა საქართველოს ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ფიზიკური კულტურის უმაღლეს საბჭოსთან მუდმივმოქმედი ტერმინოლოგიური კომისიის შექმნა, რომელმაც იმ დროის მოთხოვნათა დონეზე დაამუშავა სპორტის მრავალ სახეობაში ტერმინების საკმარისი რაოდენობა და ხელახლად აღადგინა პირობითი პრინციპების ერთიანობა. ათი წლის შემდეგ (1935-40 წელი) მდგომარეობა ფიზკულტურის ხელმძღვანელ ორგანოებში იმდენად შეიცვალა, რომ ტერმინოლოგიის ხელახალი გადახედვა დაგვჭირდა და დიდი აღრევისა და შეუფასებლობის გამო საკითხი სახელმწიფო სატერმინოლოგიო კომისიაში ვასატანი გაგვიხდა. ამ პერიოდში ზოგით ცენტრალური ორგანოს ზოგიერთ დირექტივებშიც შეხვდებოდით დიდ ტერმინოლოგიურ უმეცრებას, მაგალითად: ბირთვის კვრის მაგივრად — „გულგულების გადაგდება", ან ღერძზე ვარჯიშის მაგივრად—ხარიხაზე ვარჯიში (**перекладина**—სიტყვა-სიტყვით იყო თარგმნილი) და ა. შ. სწორედ ამის გამო მოგვიხდა სპეციალურ კომისიაში დამუშავებული ტერმინოლოგია გაგვეტანა სახელმწიფო ტერმინოლოგიურ კომისიაში. სპორტული ტერმინოლოგიის უკანასკნელი ვარიანტი გაირჩა უკვე მესამეჯერ იმავე კომისიაში. ამჯერად წინათ დამუშავებული ტერმინები უკეთესად დალაგებული და ტექნიკურად უფრო კარგად შეგროვილი იქნა წარმოდგენილი ფიზიკური კულტურისა და სპორტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ.

ტერმინოლოგიის პროგრესული გამდიდრება და გაუმჯობესება მუდმივი ზრუნვის საკითხია; ეს არ ამოიწურება იმ დიდი მუშაობით, რაც უკვე გაკეთებულია და რაშიც რამდენიმე წამოწყებასა და ტექნიკურ მოღვაწესთან ერთად ათეულები იღებდნენ მონაწილეობას. ამჟამადაც ეწევიან მუშაობას უკვე ერთ ალაგას კი არა, არამედ ჩვენი რესპუბლიკის რამდენიმე სპორტულ დაწესებულებაში—განათლების სამინისტროში, სამეცნიერო-კვლევით და კადრების ინსტიტუტში, გაზეთ „ლელოს" და სხვა გაზეთების რედაქციებში. ამისათვის საჭიროა ერთიანი საკოორდინაციო მუდმივმოქმედი ტერმინოლოგიური კომისიის დაარსება.

საჭიროა ტერმინოლოგიური სისტემა

ტერმინი თავისთავად ნიშნავს მეცნიერების, კულტურისა და ტექნიკის რომელიმე დარგის რაიმე პროცესის ან ელემენტების და მათი ნაერთის პირობით დასახელებას.

შესაფერისი ტერმინის შერჩევის დროს მრავალი გარემოება უნდა იყოს გათვალისწინებული. პირველი პირობაა — ჩვენი ენისა და სპორტის სპეციფიკის შესაბამისი სისტემის დამუშავება, საიდანაც უნდა გამომდინარეობდეს ყოველი ახალი ტერმინის შექმნის პრინციპი. ყოველ ცალკე სახის დამახასიათებელ მეთოდიკას უნდა გაეწიოს ანგარიში, მაგრამ უნდა ვეცადოთ, რომ სპორტის ყველა სახეობაში ერთნაირი ცნების აღსანიშნავად ერთნაირი ტერმინი იყოს დანერგილი.

სპორტული ტერმინების შექმნის წყაროდ უნდა დარჩეს უმთავრესად ქართული ენის მდიდარი სიტყვიერი ფონდი, ძველი მწერლობა, ლექსიკონები, დღევანდელი სალაპარაკო ენა, ჩვენი ხალხის სხვადასხვა დიალექტი. ძალიან ბევრი მივიწყებული სიტყვა, კარგი ტერმინი დღეს ხელახლად აღდგა და ენამ ის მიიღო, ამრიგად, ეს გზა უფრო გაბედულად უნდა გამოვიყენოთ, მაგრამ ზოგიერთი ისტორიული ან ძველი სიტყვების გამოყენებისას გვხვდება ერთგვარი სიძნელე, რომ ხალხი დავიწყებულ სიტყვას ზოგჯერ უფრო ძნელად ითვისებს, ვიდრე ახალს, ცოცხალს, თუნდაც უცხოურ სიტყვას. ზოგჯერ ამას ისიც ეხმარება, რომ თვით რუსულშიაც არსებული ტერმინი უხეიროა და მისი სიტყვა-სიტყვით თარგმნას აზრი არა აქვს. მაგალითად, ძველი სიტყვის—ერგისის (ნახევარი) გაცოცხლების ცდამ ვერ მოგვცა სასურველი შედეგი, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა ლაკონიურია (რაც ტერმინისათვის დამახასიათებელია), იგი კარგად იფერებს სხვა სიტყვასთან შეერთებას, მაგალითად: ერგმძიმე (**полутяжелый**), ერგბრუნი (**полповорота**), ერგმცველი (**полузащитник**), ამიტომ შემოვიღეთ — ქვემძიმე, თანამცველი და ა. შ. უკეთესის ძიებაში ასეთი შეცვლა ბუნებრივი გზაა ტერმინების გაუმჯობესებისათვის. მაგალითად, ფეხბურთში შეიცვალა მომძიმო ტერმინები — კარგუშაგი — მეკარეთი, გარეთავდამსხმელი— გარემარბით (მარბილიდან), მარჯვენა, მარცხენა შემარბი — შუამარბით და მრავალი სხვა. ამჟამად ჩვენს მიერ ამოკრეფილია მთელი რიგი მეტად მოხერხებული სიტყვებისა, რომლებიც, ჩვენის აზრით, უფრო გაბედულად უნდა შემოვიღოთ ქართულ ტერმინოლოგიაში, რაც აუცილებლად გაამდიდრებს სპორტულ ტერმინოლოგიასთან ერთად ჩვენს თანამედროვე ენასაც. მაგალითად, ისეთი სიტყვები, როგორიც არის სამჯობინარი (სადოლე ცხენის სახელწოდება), დეგნა (დოლის სახე), რადი, გადრი (თამაშის სახელწოდება), გმირა (ჩხლეტა), წყალჯომარდობა, ფალავანი, მძლე, იარაღნაგი და მრავალი სხვა, რომლებიც განხილვისა და მიღების შემდეგ უნდა დაინერგოს.

(გაგრძელება იქნება)

არის ორი ოსტატი

ქუთაისში ჩატარდა „განთიადის" ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა ძალოსნობაში. აღსანიშნავია, რომ შეჯიბრების პროცესში ორმა სპორტსმენმა—შანიძემ (ქუთაისი) და მარტიროსიანმა (თბილისი) პირველად შეასრულეს სპორტის ოსტატის ნორმები.

წონითი კატეგორიების მიხედვით „განთიადის" ცენტრალური საბჭოს 1962 წლის ჩემპიონები გახდნენ: უმჩატეს წონაში — მარტიროსიანი (270 კგ), მჩატე წონაში — შანიძე (305 კგ), ქვემსუბუქ წონაში — ტუშელაშვილი (247,5 კგ), მსუბუქ წონაში — ოგანეზოვი (315 კგ), ქვესაშუალო წონაში — სპორტის ოსტატი ინჯგია (330 კგ), ქვემძიმე წონაში — სპორტის ოსტატი მუშკუდიანი (415 კგ), I მძიმე წონაში — ფხაკაძე (340 კგ), II მძიმე წონაში — სანიკიძე (415 კგ).

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი დიდი საზოგადოებისათვის, როგორიცაა „განთიადი", 18 სპორტსმენის გამოყვანა ძალზე ცოტაა. ღონისძიებაში ძირითადად თბილისელი და ქუთაისელი ძალოსნები მონაწილეობდნენ, რუსთავი კი წარმოდგენილი იყო ერთი სპორტსმენით, აჭარის, აფხაზეთის, ოსეთის „განთიადის" საოლქო საბჭოებს და მთელ რიგ საქალაქო საბჭოებს ჯერ კიდევ არ უფიქრიათ ძალოსნობის განვითარებისათვის.

შ. ბუაძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

საფარიკაო ბილიკებზე — მომავალი

თბილისში დამთავრდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების მოსწავლეთა პირად-გუნდური პირველობა ფარიკაობაში.

აღნიშნულ შეჯიბრებაზე გამოვლინდა ერთი საკმაოდ სასიამოვნო ფაქტი. ადრე ჩვენ ვწერდით (მოზრდილთა რესპუბლიკურ შეჯიბრებასთან დაკავშირებით), რომ რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონები ნაკლებად აქცევენ ყურადღებას ფარიკაობის განვითარების საქმეს. და შეჯიბრებებზე არ გზავნიან გუნდებს. როგორც ჩანს, სამართლიანი საყვედურიდან ზოგმა სათანადო დასკვნა გამოიტანა და ამჯერად მოსწავლეთა ასპარეზობაზე აღარ შეირცხვინა თავი. ასე მაგალითად, გაგრის რაიონმა, სადაც ნაყოფიერად მუშაობს მწვრთნელი რ. ჯოლოგუა, წარმოადგინა კარგად მომზადებული გუნდი, რომელმაც შეძლო მესამე საპრიზო ადგილის დაკავება. მაგრამ მოხდა საპირისპირო ფაქტიც: მოსწავლეთა ასპარეზობაზე გუნდები არ გამოაგზავნეს იმ რაიონებმა, რომლებიც ადრე მონაწილეობას იღებდნენ მოზრდილთა ასპარეზობაში. ასე მოიქცნენ, მაგალითად, სამხრეთ ოსეთის, აჭარისა და წულუკიძის სპორტის მესვეურები.

შეჯიბრების დებულებით ასპარეზობაზე დაშვებული იყო რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების 8 გუნდი, მაგრამ ზემოაღნიშნული გამოუცხადებლობის გამო მას მხოლოდ ხუთი გუნდი შემორჩა: თბილისი, ქუთაისი, ზესტაფონი, გაგრა და რუსთავი. მონაწილე გუნდების ამ სიმცირის ფონზე აუცილებელი ხდება შენიშვნა: უმჯობესი იყო დედაქალაქს გამოეყვანა ორი გუნდი, რადგან თბილისში თავმოყრილია ფარიკაობის საუკეთესო და მრავალრიცხოვანი ძალები.

ასპარეზობა გახსნეს რაპირით მებრძოლმა ვაჟებმა. აქ სამი ქვეჯგუფიდან გამოსულმა სამ-სამმა გამარჯვებულმა შექმნა ფინალური ჯგუფი, სადაც გათამაშებულ იქნა უძლიერესის სახელი. ინტერესმოკლებული არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ ფინალში გავიდა სამი თბილისელი, 2 გაგრელი და 1 რუსთაველი მოსწავლე-სპორტსმენი. როგორც მოსალოდნელი იყო, ფინალისტთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა თბილისელი მეათეკლასელი მ. ეშმაკურაშვილი. მეორე საპრიზო ადგილი წილად ხვდა მის თანაგუნდელს ტ. გოშაძეს, ხოლო მესამე — ქუთაისელ რ. სარიაშვილს. გუნდური ადგილები განაწილდა ასე: თბილისი, ქუთაისი, გაგრა.

მეორე დღეს ასპარეზობაში ჩაებნენ რაპირისტი გოგონები და ხმლით მებრძოლი ჭაბუკები. გოგონები დაყოფილი იყვნენ ორ ქვეჯგუფში, საიდანაც ოთხ-ოთხმა სპორტსმენმა შეადგინა ფინალური ჯგუფი. კარგად ჩაატარა ბრძოლები თბილისელმა ნ. დობორჯგინიძემ, რომელმაც ყველა მეტოქე დაამარცხა და პირველი ადგილი მოიპოვა. ერთადერთი წაგება ჰქონდა რ. კეკელიას (თბილისი), რომელმაც გადაუსწრო მესამე ადგილზე გამოსულ ქუთაისელ ნ. ერისთავს. გოგონათა შორის ამ საპრიზო სამეულის გარდა კარგი შთაბეჭდილება დატოვა გაგრის წარმომადგენელმა ტ. კოკაიამ, რომელიც პერსპექტული მოფარიკავე ჩანს. გუნდური პირველობა აქ კვლავ თბილისის გუნდმა მოიპოვა და მომდევნო საპრიზო ადგილებიც ქუთაისისა და გაგრის სპორტსმენებმა დაიკავეს.

აღმავლობით ჩაატარა შეჯიბრება ხმლით ბრძოლაში ქუთაისელმა ჭაბუკმა ა. მაღლაკელიძემ. მისი გამარჯვება ყველა შეხვედრაში დამაჯერებელი იყო და ამდენად, მოპოვებული პირველი ადგილიც — დამსახურებული. მისივე თანაგუნდელმა დ. მეშველიანმა მოიპოვა მეორე ადგილი, ხოლო მესამეზე დარჩა თბილისელი გ. ვაშაძე. აქვე უნდა აღინიშნოს თბილისის წარმომადგენელთა — ბ. შარაშენიძისა და გ. ოსაძის სუსტი გამოსვლა. მათ შეძლეს მხოლოდ მეცხრე და მეათე ადგილების დაკავება. ფარიკაობის ამ სახეობაში გუნდური გამარჯვება ამჯერად ქუთაისელ სპორტსმენებს ხვდათ წილად. მეორე ადგილზე გამოვიდა გაგრის გუნდი, ხოლო მესამეზე — თბილისი.

შეჯიბრების დასკვნით დღეს გათამაშდა პირველობა დაშნით ბრძოლაში. რატომღაც დებულებით აქ ყოველი გუნდიდან მხოლოდ ორორი სპორტსმენი იყო დაშვებული. რატომ, რა საფუძველზე დააყენეს ფარიკაობის ეს სახეობა სხვებთან შედარებით „არაპრივილეგირებულ" მდგომარეობაში? ეს ჩვენთვის სრულიად აუხსნელი დარჩა. ფაქტი კი ის იყო, რომ აქ მცირერიცხოვნების გამო სპორტსმენებს არ დაჰირებიათ წინასწარი ბრძოლების ჩატარება. პირდაპირ მოეწყო ე. წ. ფინალური შეხვედრები. პირველი ადგილი დაისაკუთრა თბილისელმა თ. ჯანგველაძემ, მეორე — დ. ცაგურიამ (გაგრა), მესამე — შ. შარმიაშვილმა (თბილისი). გუნდური შედეგებია: თბილისი, გაგრა, ზესტაფონი.

საერთო მაჩვენებლებით თბილისის გუნდმა დააგროვა მხოლოდ ექვსი საჯარიმო ქულა და მოიპოვა გამარჯვებულის სახელი. მეორე ადგილზე 9 ქულით გამოვიდა ქუთაისის კოლექტივი, რომელსაც მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩნენ გაგრის მოფარიკავეები.

ამავე პერიოდში ტარდებოდა საქალაქთაშორისო ამხანაგური შეხვედრა თბილისში სტუმრად ჩამოსულ დნეპროპეტროვსკის „დინამოს" ქალ მოფარიკავეებთან. თავდაპირველად სტუმარ-მასპინძლებმა გაითამაშეს პირადი პირველობა, სადაც სამივე საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს მასპინძლებმა — ნ. დობორჯგინიძემ, რ. კეკელიამ და მ. სულთანიშვილმა. გუნდურ შეხვედრაში კი გამარჯვება ანგარიშით 5:4 დარჩათ დნეპროპეტროვსკელებს.

შ. დარასელია,
სპორტის ოსტატი.

მოსკოვში შედგა სამატჩო შეხვედრა კარტინგში. ორი დღის განმავლობაში მოსკოვის, ლენინგრადის, კურსკის, ტალინის, ვილნიუსისა და კაუნასის სპორტსმენები პირველობას ეცილებოდნენ სხვადასხვა კლასის კარტინგებით რბოლაში.

125 კუბიკური სანტიმეტრის კლასის მანქანებში პირველი ადგილი დაიკავა ტალინელმა ვ. ალიპერემ. 175 კუბიკური სანტიმეტრის კლასის მანქანებში გამარჯვება მოსკოველ ე. სლავსკის დარჩა.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ტალინელმა სპორტსმენებმა.

სურათზე: შეჯიბრების მომენტი 125 კუბიკური სანტიმეტრის კლასის მანქანებით რბოლაში. 46 ნომრით გამარჯვებული ვ. ალიპერე.

ანტრაქტი — შესვენების გარეშე

იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ახალ სეზონში ერთგვარად შეისვენებენ სამთო-მოთხილამურენი, რადგან არ ტარდება ოლიმპიური თამაშები, სამთო-მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატი, მაგრამ მოსალოდნელი ანტრაქტი სრულებითაც არ იძლევა უქმად ყოფნის საშუალებას

ზამთრის IX ოლიმპიადამ უნდა უპასუხოს კითხვაზე: საბჭოთა სამთო-მოთხილამურენი მაჩვენებლებით უახლოეს წლებში გაუთანაბრდებიან თუ არა მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენებს, ამიტომაც მზადება ოლიმპიური სეზონისათვის, რომელიც ახლა იწყება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

1963 წლის ზამთარი მაინც მდიდარია მოვლენებით. ჩვენი ქვეყნის მთიან რაიონებში გაიმართება სხვადასხვა სახის შეჯიბრებანი—პროფკავშირთა ზამთრის სპარტაკიადა, საერთაშორისო სტარტები და სხვ. ყოველი სტარტი დაექვემდებარება ორ, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ამოცანის განხორციელებას: ჩვენს ქვეყანაში სლალომის მასობრივ განვითარებას და უძლიერესთა შერჩევას ოლიმპიური ნაკრებისათვის.

როცა ამ პრობლემებზე ვლაპარაკობთ, აუცილებელია მოვიგონოთ გასული სეზონის ფაქტები.

საბჭოთა კავშირის ხალხთა პირველმა სპარტაკიადამ, რომელიც გასული წლის მარტში გაიმართა, დაადასტურა რამდენიმე წლის წინათ აღებული კურსის — „სლალომისტები იზრდებიან მთებში!" — სისწორე. ამ წამოწყების ერთი საუკეთესო დადასტურება იყო სპეციალურ სლალომში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლის მოპოვება ბაკურიანის მკვიდრის ი. ჯანგობეგოვის მიერ. კარგი მაჩვენებლები ჰქონდათ, აგრეთვე სხვა ქართველ სლალომისტებსაც — ლ. გოგოლაძეს, შ. კოზანაშვილს, ბ. კახიანს, ხიბინში (კოლის ნახევარკუნძული) გაიზარდა რსფსრ-ს ახალი ჩემპიონი ს. ივანოვი, ურალზე — პერსპექტიული ახალგაზრდები — ვ. შეინი, ვ. მალგინი, ა. პროკოფიევი. ამავე დროს მზარდი ოსტატობა აჩვენეს იმ ახალგაზრდა სლალომისტებმაც, რომლებიც შედარებით ვაკე ადგილებში აღიზარდნენ — ბალტიისპირეთში, დასავლეთ რუსეთში და სხვ. ეს ფაქტები მეტყველებენ იმაზე, რომ სამთო-სათხილამურო სპორტი ჩვენს ქვეყანაში თანდათან ფართო გავრცელებას ჰპოვებს და მისი „გეოგრაფია" ჩვენი ქვეყნის თითქმის მთელ ტერიტორიას მოიცავს.

გასულმა წელმა ცხადყო, რომ თუ საბჭოთა ნაკრების წევრები უფრო ხშირად გამოვლენ, ან ივარჯიშებენ სხვადასხვა პროფილის ტრასებზე, მათ საშუალება მიეცემათ უფრო სერიოზული კონკურენცია გაუწიონ მსოფლიოს უძლიერეს სამთო-მოთხილამურეებს.

ასეთი შესაძლებლობანი ჩვენს სლალომისტებს მიმდინარე სეზონში მიეცემათ, ისინი მთელ რიგ შეჯიბრებებს გამართავენ კავკასიონის, ხიბინის, კარპატების, ზაილის, ალა-თაუს ტრასებზე. თვითეული ამ რაიონთაგანი ხასიათდება თავისებური პირობებით, ამინდით, თოვლის საფარით. უეჭველია, შეჯიბრებათა „გეოგრაფიის" გაფართოებამ დადებითი როლი უნდა ითამაშოს მოთხილამურეთა ოსტატობის ამაღლებაში.

ინტერესმოკლებული არ იქნება აღვნიშნოთ კერძოდ, სადაა დაგეგმილი ამ ღონისძიებათა ჩატარება. ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სლალომისტები ერთმანეთს შეეჯიბრებიან ცახკაძორში (სომხეთი), ბაკურიანში (საქართველო), კიროვსკსა და მონჩეგორსკში (ხიბინი), ტერსკოლში (ჩრდილო კავკასია). მიმდინარე სეზონში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტერსკოლს. გასულ წელს ჩეგეტის მთაზე გასინჯულმა ტრასამ უკვე მოიპოვა მოქალაქეობრივი უფლება, როგორც ერთ-ერთმა ურთულესმა საბჭოთა კავშირში. საბაგირო გზა, რომელიც აქაა, სამთო-მოთხილამურეებს განუსაზღვრელ უფლებებს აძლევს ივარჯიშონ ისეთ პირობებში, რომელიც საგრძნობლად უახლოვდება საერთაშორისო შეჯიბრებათა პირობებს.

აღნიშნულთა გარდა საბჭოთა ნაკრებს საშუალება ექნება ძალები სცადოს ინსბრუკის ოლიმპიურ ტრასაზეც, სადაც მომავალი წლის თებერვალში მოეწყობა დისტანციათა ტრადიციული გასინჯვა.

მოთხილამურეთა მზადებას შეჯიბრებისათვის წინ უძღოდა დიდი საწვრთნელი მუშაობა ზაფხულში. სლალომისტებმა აიმაღლეს ფიზიკური მომზადების დონე, ვარჯიშობდნენ წყლის თხილამურებით, აკრობატიკაში, ველორბოლაში, მძლეოსნურ კროსში. პირველად გაიმართა სლალომისტთა შეჯიბრება ზაფხულში, ევროპის უმაღლეს მწვერვალ იალბუზის თოვლიან კალთებზე.

ჯერჯერობით დარწმუნებით არ შეიძლება ითქვას, თუ ვინ დაიცავს ჩვენი ქვეყნის ინტერესებს ინსბრუკის ოლიმპიურ ტრასაზე. ამაზე პასუხს გასცემს მიმდინარე სეზონის ანტრაქტი, რომლის დროსაც არავის ექნება დასვენების საშუალება.

ნ. ლეონოვი,
„ნოვოსტის სააგენტოს" კორესპონდენტი.

სურათებზე: ზევით — ლ. გოგოლაძე, ქვევით — ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი სპეციალურ სლალომში ი. ჯანგობეგოვი ტრასაზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

მოწინავეთა რიგებში სიმჭიდროვეა

იტალიის ჩემპიონატში 10 ტურის შემდეგ შეიქმნა საკმაოდ უცნაური სიტუაცია, როდესაც ლიდერი უკანასკნელისწინა, მე-17 ადგილზე მყოფი „ნაპოლისაგან" სულ 7 ქულითაა დაშორებული — ეს იშვიათ სიმწვავეზე მეტყველებს.

ამჟამად პირველ ადგილს ინაწილებს სამი კოლექტივი: „ბოლონია", „იუვენტუსი" და „სპალი", მათ 14-14 ქულა აქვთ. „ბოლონიამ" თავის მოედანზე ორი ქულა „გამოგლიჯა" „ტორინოს" (გოლი გაიტანა პასკუტიმ). ასევე მწვავედ მიმდინარეობდა მატჩი ტურინში „იუვენტუსსა" და იტალიის ჩემპიონ „მილანს" შორის, რომელიც მასპინძლების სასარგებლოდ გადაწყვიტა სივორის მიერ გატანილმა ერთადერთმა ბურთმა. ასეთივე ანგარიშით მესამე ლიდერმა „სპალმა" სძლია თავის მოედანზე „მანტოვას". ლიდერებს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება „ინტერნაციონალე", რომლებმაც თავის მოედანზე ოთხი „მშრალი" ბურთი გაიტანეს გენუას „სამპდორიასთან".

მძაფრი ბრძოლა გაიმართა „რომასა" და „ფიორენტინას" შორის, რომლებიც საგრძნობლად მიუახლოვდნენ ლიდერებს. „რომაში" თამაშობს უელსიდან ისევ იტალიაში დაბრუნებული ჯონ ჩარლზი, ხოლო „ფიორენტინას" დაუბრუნდა ჰამრინი, რომელიც ტრავმის გამო არ თამაშობდა. შეხვედრა დამთავრდა ფრედ (2:2).

ჯერჯერობით ყველაზე მოულოდნელი ისაა, რომ იტალიის ჩემპიონი „მილანი" მხოლოდ მე-11 ადგილზეა (სულ ჩემპიონატში 18 გუნდი მონაწილეობს), თუმცა იგი ლიდერებს სულ 5 ქულით ჩამორჩება.

ბრძოლა იტალიის ჩემპიონატში უაღრესად საინტერესო ფაზაში შედის.

ლიდერობს „ტოტენჰემი"

ინგლისში დასასრულს უახლოვდება ჩემპიონატის პირველი წრე.

ფეხბურთის ახალი ამბები

XVIII ტურში წააგო „ევერტონმა", რომელიც „ბლეკბერნ როვერსს" ეთამაშებოდა (2:3). ამასობაში „ტოტენჰემ ჰოტსპურმა" თავის მოედანზე ფრედ ითამაშა (1:1) „შეფილდ უენსდეისთან" და პირველ ადგილზე გადაინაცვლა.

მოგვყავს გუნდების მდგომარეობა დღეისათვის: „ტოტენჰემ ჰოტსპური" და „ევერტონი" — 27 ქულა თვითეულს (ბურთების უკეთესი შეფარდება აქვს „ტოტენჰემს"), „ბერნლეი" — 25, „ლესტერი" — 23, „ნოტინჰემ ფორესტი" და „ასტონ ვილა" — 21, „ვულვერჰემპტონ უონდერერსი" და „შეფილდ უენსდეი" — 20, „ბლეკპული" და „შეფილდ იუნაიტედი" — 18, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" და „ბირმინჰამ სიტი" — 17, „ლივერპული", „ბოლტონ უონდერერსი" და „ბლეკბურნი" — 16, „მანჩესტერ იუნაიტედი", „არსენალი" და „მანჩესტერ სიტი" — 15, „უესტ ჰემი" — 14, „ფულჰემი" — 13, „იპსვიჩ ტაუნი" (ინგლისის ახლანდელი ჩემპიონი)—12 და „ლეიტონი" — 10 ქულა.

ყველაზე უცნაური ისაა, რომ უკანასკნელ სეზონში მეორე ლიგიდან ასეთი სენსაციური შედეგით გადმოსული და ინგლისის ჩემპიონად გამხდარი „იპსვიჩ ტაუნი" ახლა ისევ დადგა კვლავ მეორე ლიგაში გადასვლის საფრთხის წინაშე.

დიდი გამოხმაურება

ევროპის სპორტული პრესა სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას უთმობს უნგრეთის ნაკრებს, რომელიც ამჟამად ევროპის თასის გათამაშების ერთ-ერთ უპირველეს ფავორიტად ითვლება. ამ გუნდმა უკვე სამი მნიშვნელოვანი საერთაშორისო მატჩი (ავსტრიასთან, უელსსა და საფრანგეთთან) მოიგო ზედიზედ.

უნგრეთის ფეხბურთელთა კავშირის პრეზიდენტმა შ. ბარჩი მიიჩნევს, რომ საფრანგეთის აღორძინებულ [illegible] მატჩი შეიძლება ჩილის საუკეთესო შეხვედრებს შეადაროს. აქ უნგრელებმა უჩვენეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ღირსება, რაც მათ ადრე არ ახასიათებდათ — მტკიცე თავდაცვითი თამაშის უნარი. მწვრთნელმა ლ. ბაროტიმ თქვა, რომ უნგრეთის ნაკრებს არ ჰქონდა არცერთი სუსტი ადგილი და თამაშობდა სახელოვანი „დიდი გუნდის" მსგავსად. თავდასხმას შანდორისა და ალბერტის ტრავმის მიუხედავად არ დაუკარგავს შეტევითი პოტენციალი, ხოლო დაცვამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თუ აქამდე მიმომხილველები მცველთაგან მხოლოდ მატრაის აღნიშნავდნენ, ახლა ფიფა-ს პრეზიდენტმა სტენლი როუზმა მესეის უწოდა თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრალური მცველი. უნგრელების თამაშის სტილი მიჩნეულ იქნა თანამედროვე ფეხბურთის საუკეთესო ნიმუშად. ცნობილი უნგრელი მიმომხილველი ჩანადი წერს, რომ უელსისა და საფრანგეთის ძლიერი ნაკრებების დამარცხება უნგრელებს თავბრუს არ ახვევს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ამჟამად „დიდი გუნდის მემკვიდრეები" უდავოდ არიან ევროპული ფეხბურთის პირველ რიგებში.

ცაცალა

1960 წლის თებერვალს თბილისის სახელმწიფო ცირკში ჩატარდა რესპუბლიკის ქართული ჭიდაობის ძველი თაობის წარმომადგენელთა საჩვენებელი შეხვედრები. ამ საინტერესო ასპარეზობას უამრავი მაყურებელი დაესწრო. აქ იყვნენ ასობით ჭარმაგი მაყურებელი, რომელთა უმრავლესობას გუშინდელივით ახსოვდა გარდასული ფალავნების ვაჟკაცური შერკინება.

როცა სარბიელზე თბილისელი ბახუტაშვილი და გორელი „ცაცალა" გამოჩნდნენ, ერთბაშად ტაშმა იქუხა და გაისმა შეძახილები.

—„ცაცალ", კიდევ გვაჩვენე შენებური ჭიდაობა!

— აბა, გორელო, ძველი სახელი არ შეირცხვინო!

ეს იყო სარბიელზე სანდრო ნაკაშაშვილის ბოლო სპორტული გაბრძოლება...

• • •

სანდრო ნაკაშაშვილმა ჭიდაობა პატარაობიდანვე დაიწყო. 1926 წელს 16 წლის ჭაბუკმა წარმატებით დაიცვა თავისი მშობლიური სოფლის — ხიდისთავის სპორტული ღირსება რაიონის პირველობაზე და პირველი ადგილი მოიპოვა. თავის ძალაში დაიმედებული ჭაბუკი უფრო გაეჩვია სოფლის გარე სარბიელზე, ფიზიკურად თითქოს უცებ წამოიზარდა, უფროსი თაობის მოჭიდავეებთან გაიდგა ფეხი. 1930 წლიდან ამხანაგური გამოსვლები დაიწყო ქართლის სხვადასხვა რაიონის მოჭიდავეებთან. ამ პერიოდში მან პერსპექტიული გამარჯვებები მოიპოვა იმ დროისათვის სახელოვან მოწინააღმდეგეებზე. სანდრო ნაკაშაშვილის ნამდვილ მოჭიდავედ ჩამოყალიბების პროცესი 1932 წელს დასრულდა, როცა მან ერთი-მეორის მიყოლებით დასცა ბეჭებზე საქართველოში პირველობის მრავალი პრეტენდენტი.

1932 წლიდან მოყოლებული, სამი-ოთხი წლის მანძილზე სანდრო ნაკაშაშვილს დამარცხება არ განუცდია. საჭიდაო სარბიელზე სირცხვილს გადარჩეულ ფალავანს თანდათანობით, თითქოსდა თავისთვის შეუმჩნევლად, გამოუმუშავდათ გადაწყვეტილება — პირველივე დამარცხების შემთხვევაში მიეტოვებინა ჭიდაობა...

და აი, 1935 წელი. საკმაოდ კარგად ორგანიზებული ასპარეზობა მოეწყო გორში. საქართველოს ბევრი გამოჩენილი ფალავანი ეწვია ქართული ჭიდაობის დიდი ტრადიციის მქონე პატარა ქალაქს. აქ იყო ყარალაჯელი არტაშა მიხანაშვილიც. სანდროს მასთან მოუხდა შერკინება და... წაიქცა. წაიქცა და მწარედაც ჩაიქნია ხელი. დრო უკვე შევასრულო ჩემი დანაპირები. გულში თქვა და არტაშასთან მხარდამხარ გადახვეული გავიდა სარბიელიდან.

მას შემდეგ მართლაც რამდენიმე კვირამ განვლო, „ცაცალა" საჭიდაოს ახლოსაც კი არ მიდიოდა. თუ როდისმე შემთხვევით მოვიდოდა, მაშინაც შეუმჩნევლად მიჯდებოდა ერთ კუთხეში და იქიდან უთვალთვალებდა მოჭიდავეებს... ასე გრძელდებოდა რამდენიმე კვირას. მაგრამ როდემდის შეძლებდა საყვარელი სპორტის ასე მიტოვებას ჯანღონით სავსე, ახალგაზრდა კაცი?...

სანდრო ნაკაშაშვილი იმავე 1932 წელს გამოვიდა საქართველოს პირად-გუნდურ პირველობაზე და შესანიშნავ წარმატებასაც მიაღწია ქვემძიმე წონაში: იგი ჩემპიონი გახდა და ეს საპატიო ტიტული 1936 წლამდე შეინარჩუნა.

1936 წელს სანდრო ნაკაშაშვილმა ქართული ჭიდაობის უმაღლესი წოდებით დაიმშვენა სახელი. ამ წელს საქართველოს ფალავნობაზე პირველად გამართულ ტურნირს იგი შეხვდა როგორც რესპუბლიკის „მუდმივი" ჩემპიონი ქვემძიმე წონაში. მან აქ ბევრი მოჭიდავე დასცა და გადამწყვეტ შეხვედრებში ნახევარი გამარჯვება წაართვა ამჟამად უკვე საბჭოთა კავშირის თერამეტგზის ჩემპიონს თავისუფალ ჭიდაობაში, მსოფლიოში აღიარებულ ფალავანს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს არსენ მეკოკიშვილს. სანდრო საქართველოს პირველი აბსოლუტური ფალავანი გახდა და ეს სპორტული დიდება 1945 წლამდე შეინარჩუნა.

ქართული ჭიდაობის ოსტატმა 27 წლის შემდეგ, 1953 წელს მიატოვა ჭიდაობა. ათობით სიგელი, სამკერდე ნიშნები, საჩუქრები, ჯილდოები, რომლებიც მიღებული აქვს სანდრო ნაკაშაშვილს თავისი სპორტული გამოსვლების დროს, მისი ოსტატობის თვალსაჩინო დადასტურებაა.

ი. თევდორაშვილი

• • •

სურათზე: ს. ნაკაშაშვილი საჭიდაო ჩოხაში.

უკანასკნელ წლებში მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დიდი გავრცელება ჰპოვა სპორტის ისეთმა მიმზიდველმა სახეობამ, როგორიცაა წყლის თხილამურები. როცა ფეხს იკიდებდა ეს სახეობა, პირველდამწყებნი ძლივს ახერხებდნენ უბრალო ილეთების შესრულებას, მაგრამ მიდიოდა დრო და მოყვარულნი თანდათან ოსტატდებოდნენ, ეუფლებოდნენ ურთულეს ელემენტებს — სლალომს, ტრამპლინიდან ხტომასა და ასე გასინჯეთ, აკრობატულ ნომრებსაც კი. ახლა ძალიან ხშირად იმართება სამატჩო შეხვედრები და ქვეყნის ჩემპიონატები წყლის თხილამურებში, ხოლო საჩვენებელ გამოსვლებზე სპორტსმენები ცდილობენ დამსწრეთ აჩვენონ მთელი თავიანთი უნარი, ამ ურთულესი სახეობის ფლობის ტექნიკა.

ეს სურათი, რომელიც ჩეხოსლოვაკიის სპორტული ჟურნალ „სტადიონიდანაა" ამოღებული, მოგვითხრობს ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსმენის რ. მიულერის მიერ შესრულებული აკრობატული ნახტომის შესახებ. მისმა გამოსვლებმა დამსწრეთა საერთო მოწონება დაიმსახურა.

სხვათაშორის...

იპოდრომი დაკეტილია

ლოუსვილის (აშშ) უნივერსიტეტს, პროფესურის ხელფასის ფონდის უქონლობის გამო, ლექციების შეწყვეტის საფრთხე ემუქრება.

მიზეზი სულ უბრალოა — უნივერსიტეტი სახელმწიფოსაგან არ ღებულობს არავითარ სუბსიდიას და თავს ირჩენს მის მფლობელობაში მყოფი ტოტალიზატორის მიერ მონავები თანხებით. საჯინიბოებში ეპიდემიამ იფეთქა. იპოდრომი დაკეტილია. ლექციების შემდგომი კითხვა დამოკიდებულია ცხენების ჯანმრთელობაზე.

რედაქტორი ი. უბულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09. გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 00763